



ქრისტეს მიერ საყვარელნი! გახსოვდეთ, რომ სულიერი განწმენდის გარეშე თავისუფლებას სიკეთე არ მოაქვს!

ქრისტე ვერ შეიცნეს ფარისევლებმა და მწიგნობრებმა, რადგან მისგან ამქვეყნიურ თავისუფლებას მოელოდნენ. რომაელების ბატონობის ქვეშ მყოფ ებრაელებს ქრისტე ასწავლიდა, რომ უპირველეს ყოვლისა, სულიერი განწმენდისათვის უნდა ეზრუნათ, მარტო ვარეგნული პირობებით ადამიანი ვერასოდეს ვერ გახდება თავისუფალი და ვერც სულიერ სიმშვიდეს ვერ მოიპოვებს. მაგალითად, სოლომონ მეფეს აურაცხელი სიმდიდრე ჰქონდა და ყველა გულისწაღილს ისრულებდა, მაგრამ ღვთის შეწყვენით მიხვდა, რომ ყოველივე ამაოა; მხოლოდ ღმერთია მკურნალი. თუკი მატერიალურ კეთილდღეობას სჭირდება ბეჯითი შრომა და ზრუნვა, მითუმეტეს იგი სჭირდება სულს. სულიერ საკითხებზე უკეთილშობილი პასუხი შეიძლება მიიღო მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში. აირჩიე სულიერი მოძღვარი, რომელიც დაგეხმარება საკუთარი მანკიერების შეცნობაში.

საკუთარი ცოდვის განცდა კი გაგათავისუფლებს ამპარტავენებისაგან (სხვაზე უმჯობესად თავის წარმოდგენისაგან)

ამპარტავენება წარმოშობს დაცინვას, განკითხვას, ზიზღს, სიძულვილს... ღვთის შვილობა თუ გინდა უნდა გძულდეს მხოლოდ ბოროტება, ბოროტის ჩამდენი ადამიანი კი უნდა გებრალეზოდეს, მისი გამოსწორებისთვის უნდა ლოცულობდე, ევედრებოდე ღმერთს. **გახსოვდეს, ერთი ადამიანიც რომ გძულდეს, შენს ლოცვას ღმერთი არ შეისმენს!**

ნათლობა ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოა ქრისტიანისათვის. იგი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი. განმეორებით ნათლობას ეკლესია დიდ ცოდვად მიიჩნევს. ნათლობით გვეხსნება ცოდვები, მაგრამ ცოდვისკენ მიდრეკილება კი რჩება. ამიტომ ჩვენ ვსაჭიროებთ მუდმივ განწმენდას სისტემატიური აღსარებისა და ზიარების საიდუმლოს აღსრულებით. ნათლობისას ვპირდებით ღმერთს, რომ განვეშორებით შურს, სიხარბეს, ანგარებას, მკითხაობას სიძულვილს და სხვა ბოროტებას; ამიტომ ახალი პირობის დადება არ სჭირდება ღმერთს (იგულისხმება; **შეთქმული საკლავი**; და მისთანანი, ქრისტემ ხომ ჯვარცმით და აღდგომით საბოლოოდ გააუქმა სისხლიანი მსხვერპლშეწირვა) **ჭეშმარიტი შესაწირავის შინაარსია მოწყალეობის გაცემა და არა ქეიფი და დროსტარება.**

თუ ღვინის ოხშივარი გავგიქარავებს სასოებას, დავკარავთ მოწიწებას და მოკრძალებას ღვთის წინაშე, წყალობის ნაცვლად ღვთის რისხვას მოვიწვეთ.

ნუ მიენდობი ნურც შენ მატერიალურ სიმდიდრეს და ნურც ადამიანებზე დაამყარებ იმედს; მიენდე მხოლოდ ღმერთის ნებას, მან უკეთ იცის რა არის შენთვის სასარგებლო და მოგცემს ყოველივეს რაც კი საჭირო და აუცილებელია. როდესაც შეიგნებ, რომ ყოველი წამი შენი ცხოვრებისა ღვთის ხელშია, გახდება მადლიერებით მლოცველი; გაჭირვებისას - მდაბლად ითხოვ, დალხინებისას - აქებ და აღიღებ ღმერთს.

გახსოვდეს სანამ მხოლოდ ღმერთზე არ დაამყარებ იმედებს და სავსებით არ მიენდობი მის ნებას, ვერასოდეს გახდება თავისუფალი!

იკითხე წმინდა წერილი (ძველი და ახალი აღთქმები), წმინდანთა ცხოვრება და მათი დარიგებანი, რათა მოგემატოს რწმენა და სიყვარული ღვთისა. გახსოვდეს რომ წმინდა წერილი ღვთის შთაგონებით დაიწერა წინაწარმეტყველებისა და მოციქულების მიერ; ასევე ღვთის შთაგონებითაა განმარტებული წმინდა წერილის ყოველი სიტყვა წმინდა მამათა მიერ.

ღმერთი გუშინ და დღეს ერთი და იგივეა.

ჭეშმარიტება არ იცვლება დროის და ან მატერიალური პირობების მიხედვით. ბიბლიის ერთსა და იმავე წინადადებას ამა სოფლის ბრძენნი სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. ამიტომ წარმოიშვა სხვადასხვა სახის მწვალებლობანი: მონოფიზიტობა მე-5 საუკუნეში, კათოლიციზმი- მე-11 საუკუნეში, პროტესტანტობა მე-16 საუკუნეში, ე.წ. იელივას მოწმენი მე-19 საუკუნეში და სხვა მრავალი სექტა და რელიგიური დაჯგუფება.

მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია ინახავს უცვლელად ქრისტეს მიერ მოციქულებზე გადმოცემულ და ქრისტიანთა შვიდ მსოფლიო კრებაზე დამტკიცებულ ჭეშმარიტებას.

გახსოვდეს რომ იესო ქრისტემ თავისი ჯვარცმით მთელი კაცობრიობა გამოისყიდა ცოდვებისაგან და დედამიწაზე დაამყარა ეკლესია, რომლის გარეშეც სულის ხსნა შეუძლებელია!

ოჯახური ბედნიერების საყრდენი არის სწორი ზნეობრივი ურთიერთობა ქმარსა და ცოლს შორის, რომელიც გულისხმობს ერთმანეთის სიყვარულს და ერთგულებას. ცოლქმარმა უნდა შექმნას ერთხორცი, ზნეობრივად სრულყოფილი არსება; ეს ხდება, როდესაც ერთი სული მიენდობა მეორეს მარადიული სიყვარულით, რათა ერთმანეთში ნახონ ნუგეში, შველა და დახმარება რთულ ცხოვრებისეულ გზაზე. მართლმადიდებელი ეკლესია ქორწინებას აღიარებს ერთერთ უდიდეს საიდუმლოდ. ამ დროს მექორწინებზე გადმოდის სულიწმინდის მადლი, რომელიც განწმენდს მათ ცოლქმარულ ურთიერთობას, ქორწინების საიდუმლოს წინ უნდა უძღოდეს შემდეგი:

- 1) მექორწინეთა თავისუფალი ნება, რომელსაც ისინი აღიარებენ ეკლესიის წინაშე;
- 2) მშობლების კურთხევა. სამწუხაროდ ხშირად ადამიანი ვნებას მიიჩნევს სიყვარულად. ადრე თუ გვიან ვნება ნელდება და ჩვენ უსიყვარულო რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით. თუ ადამიანი გიყვარს თანაგრძნობით შეეცდები მისი ნაკლის გამოსწორებას: კი არ წამოაყვედრებ, არამედ დაფარავ, რომ სხვათა მიერ დასაცინი არ გახდეს და ყოველივე ამას სიყვარულით, მოთმინებით იხამს. სიყვარულის ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ შენი მეუღლის ნაკლი თანაგრძნობით აღიქვა. პავლე მოციქული ამბობს: **სიყვარული არ აიმაღლებს თავს, ყოველივეს ზედა უხარის, ყოველივეს დაითმენსო.** საფუძველი ამისა სულიერი ერთობაა. თუ სულიერი ჰარმონია არსებობს ადამიანებს შორის, ამქვეყნიური პრობლემები, რაც არ უნდა მძიმე იყოს ისინი, მანც დაიძლევა.

ოჯახი ერთიანი ორგანიზმია, რომელსაც ერთი თავი უნდა ჰქონდეს და ეს თავი ქმარი უნდა იყოს. **ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი თვისთა ქმართა ყოვლითა(ეფეს.5,24) ცოლნი თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა, რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა.(ეფეს.5,22-23)**

ამასთანავე, ქმარს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. **პავლე მოციქული წერს: ქმართა გიყვარდე ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის(ეფეს.5,24); ესრეთ ჯერ-არს ქმართა ცოლთა თვისი, თავი თვისი უყვარს.(ეფეს.5,28)**

ოჯახი არის ის გარემო, სადაც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება. აქ ეზიარება იგი რწმენასა და სიყვარულს, აქ ღვივდება მისი სული, აქ იქცევა იგი პიროვნებად.

სამწუხაროა, რომ თანამედროვე ოჯახი თანდათან კარგავს ამ ღრმა აზრს: სამწუხაროდ დღეს სულ უფრო ხშირად ვხვდებით ოჯახის რღვევის ნიშნებს. **მხოლოდ ქალს შეუძლია გადაარჩინოს ოჯახი:** დედა ასწავლის შვილს პირველ ლოცვას, უკითხავს მას პირველ ლექსს... დედა შვილით ცხოვრობს, შვილით სუნთქავს, სხეულით გრძნობს მის სულიერსა და ხორციელ სატკივარს. როცა შვილი განსაცდელშია, დედა ნათელმხილველი ხდება, მისი ლოცვა სასწაულომქმედ ძალას იძენს. **წმინდა მამები ამბობენ, რომ დედის ლოცვას შეუძლია ჯოჯოხეთიდან ამოიყვანოს შვილის სული!**

ქალმა დაიწყო ადგილის ძიება ოჯახის გარეთ. ტექნიკურმა პროგრესმა, ცივი გონებით განსჯამ, პრაქტიციზმმა გააუხეშა და დაარღვია მისი ფაქიზი ქალური ბუნება. მას გაუხეშდა შვილების ყოლისა და მათი აღზრდის

სურვილი. გამოვიდა რა ოჯახიდან, ქალმა დაკარგა შინაგანი სიმშვიდე, კდემამოსილება, სისადავე, შინაგანი სიღრმე, გაუმჟღავნებელი განცდა; იდუმალების კვალი ნელ-ნელა ქრება თანამედროვე ქალის სახიდან.

ცოლ-ქმარს შორის უნდა სუფევდეს ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთისათვის თავდადებისა და თავგანწირვის სულისკვეთება. ეს არის ქრისტიანული სიყვარულის აღსრულების ერთ-ერთი იდეალური სახე; როცა ოჯახში ასეთი სიყვარულია, ამას აუცილებლად ხედავენ შვილები.

მართლმადიდებლური ოჯახის წევრები უნდა იცავდნენ ეკლესიურ წესებს:უნდა მარხულობდნენ, სახლში ყოველდღიურად უნდა

ლოცულობდნენ;აუცილებელია შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ეკლესიაში სიარული, სინანულითა და აღსარების საიდუმლოს მადლით ცოდვათაგან სულის განწმენდა, ხშირად ზიარება.

აუცილებელია გარდაცვლილ ახლობელთა და წინაპართა მოხსენიება პირად ლოცვებში,მათ სულთა საოხად ყოველ ლიტურღიაზე საკურთხეველში სეფისკვერის შეგზავნა და ეკლესიის მიერ მიცვალბულთა მოსახსენიებლად სპეციალურად დადგენილ დღეებში წირვაში მონაწილეობის მიღება.

წმინდა მოციქული პავლე ამბობს, რომ ასეთი ოჯახი **სახლის ეკლესიად** გადაიქცევა, იქ დაივანებს უფალი და დაიცავს მას მშვიდობით, სიყვარულითა და კეთილდღეობით.

ზოგიერთი მშობელი სწუხს, ტირის შვილების უდიერი საქციელის გამო და ვერ შეუგნია, რომ უმეტესწილად თვითონ არის ამაში დამნაშავე, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ აღზარდა ისინი.

მშობლებო, არასოდეს არავითარ შემთხვევაში არ დასწყევლოთ თქვენი შვილები, არამედ ილოცეთ აკურთხეთ ისინი.გებრალბოდეთ და გიყვარდეთ ისინი, გახსოვდეთ რომ თქვენს სიტყვებს დიდი ძალა აქვს და აუცილებლად აუხდება თქვენს შვილებს! ბიბლიაც გვასწავლის რომ მშობლის კურთხევა განამტკიცებს შვილებს, მათ სახლსა და ოჯახს, წყველა კი საძირკვლამდე ანგრევს მათ.

შვილებს კი მუდამ უნდა ახსოვდეთ უფლის მეხუთე მცნება: **პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა.** ეს მეტად მნიშვნელოვა მცნებაა.მშობლების პატივისცემაზეა დამოკიდებული შვილების კეთილდღეობა. წმინდა წერილი გვასწავლის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედ-მამის დალოცვას, ოღონდ დალოცვა უნდა იყოს დამსახურებული, მშობლების დაფასებით მოპოვებული.

განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ხანდაზმულ, ავადმყოფ, დაუძლურებულ მშობლებს. არადა ზოგიერთი

თავიდან იშორებს მათ და მოხუცებულთა თავმესაფარში გზანის.ეს საშინელი სისასტიკეა. დედ-მამის უპატივცემულობის მიზეზით შვილები შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობით იტანჯებიან; მათ ოჯახებში არ არის სიმშვიდე და სიყვარული.

გასხოვდეს: როგორც თვითონ ექცეოდი მშობლებს, ისე მოგექცევიან შვილები!

მეხუთე მცნება აგრეთვე გულისხმობს კეთილ დამოკიდებულებას უფროსი ადამიანების, ახლობლების, მოძღვრების მიმართ; მაგრამ თუ რომელიმე პიროვნება ჩვენგან ღვთის საწინააღმდეგო საქმის აღსრულებას მოითხოვს, არ უნდა დავემორჩილოთ მას.

პრობლემა, რომელსაც ჰქვია გაუცხოება მშობლებსა და შვილებს, ახალგაზრდობასა და უფროს თაობას შორის,სათავეს ოჯახის ტრადიციის რღვევიდან იღებს. როდესაც ცოლსა და ქმარს შორის არ არის თავდადებული წრფელი სიყვარული,იწყება გაუმდებელი უთანხმოება და ოჯახის რღვევა;როდესაც ოჯახი ირღვევა, ინგრევა მომავალი თაობის ფსიქიკა, სულიერება, შესაბამისად, ირღვევა საზოგადოებაც. ამიტომ ოჯახზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. რასაკვირველია, **ქრისტიანობა ოჯახის შექმნის უპირველესი აუცილებელი პირობა უნდა იყოს.** არ შეიძლება ქრისტიანენი ვიყოთ მხოლოდ ეკლესიაში და მის კარიბჭეზე გადმოზიჯებისთანავე დავინთქმებოდეთ ზოლმე მიწიერი მიზნებისა და საზრუნავების მორევეში. ეკლესიიდან შინ, ოჯახში უნდა წამოვიდოთ ქრისტიანული სულისკვეთება, მცნებათა აღსრულება და ყოველდღიური ცხოვრების წესად ვაქციოთ. მხოლოდ მაშინ ექნება ჩვენს ოჯახებს მშვიდობა, სიმტკიცე, ღვთის შეწევნა და წყალობა!



გთხოვთ, გაუფრთხილდეთ ბუკლეტს, მასზე გამოსახული ხატისა და წმიდა ტექსტების გამო!



დარიგებანი მართლმადიდებელი ოჯახის შესახებ

